საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-959

27/11/2018

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტის სკრინინგის განცხადება და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი.

აღნიშნული სკრინინგის განცხადება და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” შესაბამისად, ვადების დაცვით, 31 ოქტომბერს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდზე (http://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/209), ასევე გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიის მოქმედება ვრცელდება „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიან დასახლებაზე, სკრინინგის განცხადება გადაეგზავნა ყველა შესაბამის მუნიციპალიტეტს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“-ის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისა და არსებული პოტენციალის ანალიზის საფუძველზე საქართველოს რეგიონების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, საქართველოს მოქალაქეებისათვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების, საერთო კეთილდღეობის ამაღლებისა და ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის.

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტში აღწერილია საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში არსებული მდგომარეობა, სერვისები, რომელიც ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ის პრობლემები, რაც კვლავაც გამოწვევად რჩება. რეგიონების მიხედვით განხილულია ის სტიქიური პროცესები, რაც დამახასიათებელია კონკრეტული ტერიტორიისთვის. აღნიშნული ინფორმაცია, ძირითადად არსებული მდგომარეობის ანალიზს ეფუძვნება. დოკუმენტში განხილულია ტყის ეკოსისტემის მდგომარეობა და მისი გამოყენების შესაძლებლობები, თუმცა კონკრეტული ღონისძიებები გაწერილი არ არის.

ამავდროულად, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტში მოცემულია მაღალმთიანი დასახლებების SWOT ანალიზი. SWOT ანალიზი ეხება კულტურულ მემკვიდრეობას, ბუნებრივ რესურსებსა და გარემოს დაცვას. ამ ნაწილში განხილულია ის ძლიერი მხარეები, რომლითაც მაღალმთიანი რეგიონები გამოირჩევიან, მაგალითად, მდიდარი ბიომრავალფეროვნება, ტყის მდიდარი რესურსები, დაცული ტერიტორიების შედარებით დიდი და მზარდი ფართობი, დაცული ტერიტორიების ეფექტიანი მართვა, განახლებადი ენერგიის წყაროების სიმრავლე (ჰიდრო, ქარის,

მზის, ბიომასის), კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე, სასმელი წყლის რესურსის არსებობა, ღვარცოფისა და მეწყერის რისკების შემცირების გეგმის არსებობა. ამავდროულად,განხილულია სუსტი მხარეებიც და მითითებულია, ის შესაძლებლობები, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. უფრო კონკრტულად, დაცული ტერიტორიების განვითარება და ეფექტიანი მართვა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება/რეაბილიტაცია და ამ ძეგლების მდებარეობის ადგილების რევიტალიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით მაღალმთიანი დასახლებების მიმზიდველობის გაზრდა ტურიზმის განვითარებისთვის, მდინარეების მართვის გაუმჯობესება, ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შესამცირებლად მეზობელი ქვეყნების შესაბამის მაღალმთიან დასახლებებთან თანამშრომლობა. შესაბამისად, მითითებულია ის ზოგადი რეკომენდაციები, რომელთა გასათვალისწინებლადაც, სახელმწიფომ აუცილებელია დასახოს კონკრეტული მოქმედებათა გეგმა.

ასევე, ცალკე ქვეთავი ეთმობა ბუნებრივი რესურსების ეფექტიან მოხმარებასა და კატასტროფების რისკის მართვას. მითითებულია, რომ თუკი მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის კონკრეტული ქმედებები განხორციელდება, ამას შესაძლოა თან ახლდეს შესაბამისი უარყოფითი შედეგები, რაც ასევე მოცემულია დოკუმენტის SWOT ანალიზის ცხრილის საფრთხეების ქვეთავში. **თუმცა საფრთხეებიც ზოგადად არის მიმოხილული და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებელია, მათი დეტალური შეფასება/განხილვა.**

სტრატეგიული დოკუმენტის სტრატეგიული მიზნებია მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სერვისების ხელმისაწვდომობა.

სტრატეგიის მოქმედება ვრცელდება „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიან დასახლებაზე.

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი აყალიბებს ზოგად ამოცანებს და ეფუძნება სხვადასხვა სექტორულ თუ ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში მოცემულ მიმართულებებს და იმეორებს მათ პრიორიტეტებს, კერძოდ:

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“- ის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №400 დადგენილების შესაბამისად- მაღალმთიან რეგიონებში გათვალისწინებულია სტიქიური მოვლენების ადრეული გაფრთხილების თანამედროვე სისტემების დანერგვა, მათი თავიდან ასაცილებლად და შედეგების შესამცირებლად სხვადასხვა ღონისძიებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;

„საქართველოს რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივნისის N1292 განკარგულების მიხედვით - დოკუმენტი ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილავს ენდოგენური განვითარების საფუძველზე კონკრეტული ტერიტორიების, მათ შორის, მაღალმთიანი დასახლებების მხარდაჭერას. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ინფრასტრუქტურის, საავტომობილო გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესებაზე, დასახლებების ეკონომიკური აქტივობების წახალისებასა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე.

„საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №631 დადგენილებით - განსაზღვრულია სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და ერთიან სამოქმედო გეგმად ჩამოყალიბება.

„საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია 2016-2025“-ში - ხაზგასმულია, რომ მთაგორიან ადგილებში მდებარე, ძნელად მისასვლელი და მცირე სოფლების ენერგიით მომარაგებისთვის ოპტიმალურ ვარიანტს მზის ენერგიის ფოტოელექტრული გარდამქმნელების ბაზაზე მომუშავე

ავტონომიური მიკროელექტროსადგურები წარმოადგენს, ხოლო კავკასიის მაღალმთიანი არეალი, ქარის ელექტროსადგურების განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორიაა;

„2016-2030 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებით- გათვალიწინებულია მაღალმთიანი დასახლებების მქონე მუნიციპალიტეტებისთვის ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის შექმნა, ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობა და გადამტვირთავი სადგურების მოწყობა. აგრეთვე, სამთო მოპოვებითი მრეწველობით დაბინძურებულ ადგილებში არსებული ნარჩენების უსაფრთხო განთავსება.

„საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის N1742-Iს დადგენილების შესაბამისად- განხორციელდება ტყითსარგებლობისა და ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი თავისი შინაარსით ზოგადი ხასიათისაა, განსაზღვრავს იმ ზოგად კონცეპტუალურ მიდგომებს, რომელთა გათვალისწინებითაც, სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს თითოეული მაღალმთიანი რეგიონის განვითარების კონკრეტული გეგმები და მიიღოს მხედველობაში, ამ სტრატეგიაში მოცემული ძირითადი რეკომენდაციები. ამავდროულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგია ეყრდნობა უკვე არსებულ ეროვნულ, სექტორულ თუ მულტისექტორულ სტრატეგიებს და არ განსაზღვრავს თუ რა ტიპის და მოცულობის საქმიანობის განხორციელება იგეგმება სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. **დოკუმენტით ასევე არ დგინდება სამომავლო ჩარჩო სამომავლოდ განსახორციელებელი, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობებისათვის.**

„საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023" პროექტსა და სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილია ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას შენიშვნები. შენიშვნები ეხება დამგეგმავი ორგანოს მიერ სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების წარმოდგენის საჭიროების საკითხს. ხაზგასმულია, რომ სტრატეგიით დასახული ამოცანების მისაღწევად დაგეგმილ ღონისძიებებს შესაძლოა ჰქონდეთ პირდაპირი ან/და არაპირდაპირი, ხანგრძლივი და შეუქცევადი ან მაღალი კუმულაციური ზეგავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სკრინინგის განცხადების შესახებ სხვა შენიშვნები არ ყოფილა წარმოდგენილი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებით (N01/4466, 26/11/2018) სამოქმედო გეგმის შედგენაზე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს და სამოქმედო გეგმაში ღონისძიებები სტრატეგიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განისაზღვრება.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი მისი შემუშავების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა წარმოდგენილ უნდა იქნეს სამინისტროში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული პროცედურების გასავლელად.

ვინაიდან, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023" პროექტი ეფუძნება ქვეყანაში უკვე არსებულ და დამტკიცებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებშიც უკვე განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები, "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კოდექსის ამოქმედებამდე მიღებული სტრატეგიული დოკუმენტი და ამ სტრატეგიულ დოკუმენტში შესატანი ცვლილება სგშ-ს არ

ექვემდებარება და მათზე არ ვრცელდება ამ კოდექსით სგშ-ისთვის დადგენილი პროცედურები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად დამგეგმავი ორგანო მოითხოვს სგშ-ის ჩატარებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული განსახორციელებელი საქმიანობის/საქმიანობების მასშტაბის გაზრდას, საქმიანობის განხორციელების ადგილის ცვლილებას (მათ შორის, გაზრდას), საქმიანობის/საქმიანობების სახეობის, ექსპლუატაციის პირობების ან წარმადობის ცვლილებას), რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის ამავე ნაწილში ჩამოთვლილი სექტორებისათვის. გამომდინარე იქედან, რომ წარმოდგენილი სტრატეგია არის ზოგადი ხასიათის და მასში მოცემული ზოგად კონცეპტუალური რეკომენდაციები ეხება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სამომავლო გეგმებისთვის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრას, ასევე არ ადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს კონკრეტული საქმიანობებისთვის, არც მათ მოცულობებსა და მასშტაბებს განსაზღვრავს, დოკუმენტში მოცემული ზოგადი რეკომენდაციებიდან გამომდინარე, არ დგინდება მომატებული რისკი გარემოს ან/და ადამიანის ჯანმრთელობაზე, არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე. ასევე სტრატეგიული დოკუმენტი ზოგადი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ახდენდეს ზემოქმედებას უნიკალური ბუნებრივი მახასიათებლების ან კულტურული მემკვიდრეობის შემცველ ტერიტორიებზე, დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე ან/და ლანდშაფტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-20 მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე:</u>

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023" პროექტი **არ დაექვემდებაროს** სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდებზე და „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიანი დასახლების მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი